სად ვეძებოთ „ბედნიერება“

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲛᲘᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

თეოლოგი

ყველას ეოცნებება და ენატრება „ბედნიერი ცხოვრება“, არავის სურს „უბედური ცხოვრება“, მაგრამ რას ნიშნავს „ბედნიერი“ და „უბედური ცხოვრება“?

ქრისტიანული, ღვთიური მოძღვრების მიხედვით, „ბედნიერება“, ბედნიერი ცხოვრება“ - ესაა ღვთის ნების მიხედვით ცხოვრება. მაშასადამე, „უბედურ ცხოვრებაში“, ღვთის ნების საწინააღმდეგო მოქმედებები იგულისხმება, როდესაც ღვთის წმინდა ნებას ვარღვევთ, როდესაც ჩვენს გადამრჩენელ და ჭეშმარიტი (სრულყოფილი) ბედნიერების, ანუ ნეტარების მომტან ღვთის მცნებებს არ ვასრულებთ.

ამრიგად, „უბედური ცხოვრება“ – ესაა ცოდვებში ცხოვრება.

რა არის ცოდვა?

ცოდვა არის გადახვევა ღვთის ნებიდან, რომელიც ღვთიურ მოძღვრებაში, საღვთო მცნებაშია გამოხატული.

და რამდენადაც ცოდვა ღვთის მცნების დარღვევისას ჩნდება, ამდენად იგი ბოროტება და უსჯულოებაა (წმინდა იოანე ღვთისმეტყველის განმარტების თანახმად).

მაშასადამე, ის ადამიანი, ვინც ღვთის მცნებებს არღვევს – სცოდავს, და რადგან ცოდვა ბოროტებაა, ამიტომ ბოროტებაში, ანუ ცოდვებში მოუნანიებლად მცხოვრებ ადამიანს, შეუძლებელია „ბედნიერი ცხოვრება“ ჰქონდეს, რაგინდ მდიდარი, შეძლებული, სახელოვანი, ძალაუფლებისა და პოპულარობის მქონეც უნდა იყოს იგი.

ამრიგად, ცოდვებში ცხოვრება – ესაა „უბედური ცხოვრება“, ხოლო „ყველაზე საშინელი ცხოვრება“ – ესაა ცოდვებში მოუნანიებლად ცხოვრება.

„ბედნიერი ცხოვრება“ – ღვთის მცნებების მიხედვით, ქრისტიანული სათნოებებით ცხოვრებაა, ხოლო „უბედნიერესი ცხოვრება“, ანუ „ნეტარი ცხოვრება“, – ეს არის სიწმინდით ცხოვრება, ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მდიდარი იქნები თუ ღარიბი, ჯანმრთელი იქნები თუ ავადმყოფი და ა.შ.

დიახ, მხოლოდ წმინდა ცხოვრებას შეუძლია მოგვანიჭოს სრულყოფილი ბედნიერება, რადგან სიწმინდე სისავსეა, ცოდვა – სიცარიელეა, რამაც შეუძლებელია ბედნიერება მიანიჭოს ადამიანს.

სადაც სიწმინდეა, იქ არის უფალი, სადაც უფალი ღმერთია, იქ ადამიანი არაფრის ნაკლებობას არ განიცდის, თუნდაც სრულ მატერიალურ სიდუხჭირეში ცხოვრობდეს და სულშიც დღესასწაული აქვს, რადგან ჭეშმარიტი დღესასწაული ღმერთთან ყოფნაა.

ასე რომ, თუ ადამიანი მდიდრულად ცხოვრობს, გარეგნულად ჯანმრთელად და ბრწყინვალედ გამოიყურება, ყოველთვის ნუ ვიფიქრებთ, რომ იგი მაინცდამაინც ბედნიერია, „ნეტარია“, რადგან შესაძლოა მის გულში ჯოჯოხეთი ტრიალებდეს, საშინელი ცოდვებით იყოს დამძიმებული და, შესაძლოა, სრულიად მოუმზადებელი ხვდებოდეს იმ წამს, როდესაც ღვთის ნებით სიკვდილის კარიდან მისი სული მოუნანიებლად, ცოდვათაგან განუწმენდელად გაიყვანება ამ დროებითი, წარმავალი წუთისოფლიდან მარადისობაში!

ყრმობისას, როცა ადამიანი ნაკლებად სჩადის ცოდვას, დრო თითქმის გაჩერებულია.

წლების მატებასთან ერთად მრავლდება ჩვენი ცოდვები და მათი გამრავლება დროსაც აჩქარებს. დღეს დრო თითქოს ჩქარობს დასრულდეს, და საერთოდაც, დადგება ჟამი, როდესაც დრო და ისტორია ამა სოფლისა დასრულდება. როგორც წმინდა პეტრე მოციქული ამბობს, უფლის მეორედ მოსვლის დღეს, ღვთის აღთქმის თანახმად, მოველით უკვე ახალ ცასა და ახალ დედამიწას.

წმ. იოანე ღვთისმეტყველის ხილვას გავიხსენებ „აპოკალიფსიდან“, სადაც იოანე აცხადებს, რომ მან იხილა „ციდან ჩამომავალი და ღრუბლით შემოსილი ანგელოზი, რომელსაც თავზე ცისარტყელა ერტყა, სახე ჰქონდა მზესავით, ხოლო ფეხები, როგორც ცეცხლის სვეტები. ხელში ეჭირა პატარა გადაშლილი წიგნი.

მან მარჯვენა ფეხი დააბიჯა ზღვას, მარცხენა კი – მიწას;

ამ ანგელოზმა ცისკენ აღაპყრო თავისი მარჯვენა ხელი და დაიფიცა უკუნითი უკუნისამდე ცოცხალი ღმერთი, რომელმაც შექმნა ცა, და ყოველივე ის, რაც ცაშია, მიწა და ყოველივე ის, რაც მიწაშია, ზღვა და ყოველივე ის, რაც ზღვაშია, რომ აღარ იქნება დრო“.

დიახ, მიწიერი, ამქვეყნიური დრო თავისი დასასრულისაკენ მიექანება.

ყველამ გადავხედოთ ჩვენს მიერ განვლილ ცხოვრებას და ვფიქ-

რობ, მკითხველების უმეტესობა დამერწმუნება, რომ წლებმა კი არ განვლეს, არამედ – გაფრინდნენ.

დროს შემთხვევით როდი გამოხატავენ ხოლმე ფონებით, რითაც მისი ქროლვის სისწრაფეზე მიანიშნებენ.

დიახ, დრო დაჩქარებულია.

ჩვენი მოუნანიებელი ცოდვები აჩქარებენ დროს და ისიც კაცობრიობის ურიცხვი ცოდვებით დამძიმებული ფანტასტიკური სისწრაფით მიჰქრის, თითქოს სურს, რაც შეიძლება მალე ამოწუროს საკუთარი თავი.

გამაოგნებელი სიზუსტით სრულდება XVI საუკუნეში მცხოვრები წმინდანის – ნილოს მირონმდინარის წინასწარმეტყველება, რომლის თანახმად, ბოლო ჟამს ქრისტეს და მისი წმინდა ეკლესიისაგან გაუცხოებულ და განდგომილ ადამიანთა მოდგმის უდიდესი უმრავლესობა ჩაეფლობა თხემიდან ტერფამდე მოუნანიებელ ცოდვებში, რის გამოც სტიქიები და პლანეტები დაიძაბება, დაიჭიმება და დრო დაჩქარდებაო – წელიწადი გახდება როგორც თვე, თვე როგორც კვირა, კვირა როგორც დღე და დრო როგორ გავა, ადამიანები ვეღარ გაიგებენო...

მართლაც, აჰა, გათენდა დილა, მივეშურებით სხვადასხვა საქმეების შესასრულებლად, მაგრამ თითქმის ვერასდროს ვერ ვასწრებთ მათ დასრულებას, რადგანაც უსწრაფესად ღამდება და ჩვენ უკვე დასაძინებლად ვემზადებით...

წლის სეზონებიც უკვე ისეა შეკუმშული, რომ გაზაფხული მოსვლას ვერ ასწრებს, რომ ზაფხული იწყება, აგერ, შემოდგომაც მოდის და ის-ის იყო აღმოვაჩინეთ, რომ შემოდგომა მოვიდა და ზამთარიც უკვე კარზე აკაკუნებს.

1600 წლის წინ მცხოვრები ლაკტანციუსიც წინასწარმეტყველებდა, რომ ქრისტესა და მისი წმ. ეკლესიისაგან განდგომილი, მოუნანიებლად მცხოვრები ადამიანების ცოდვათა უკიდურესად და შემაშფოთებლად გამრავლებისა და ცოდვების სულ უფრო და უფრო მეტი გასასტიკების გამო წლის სეზონების მონაცვლეობაც კი აირევა, წელიწადნი კი დამოკლდებიანო. დროის შეკუმშვა, დროის დაჩქარება და მისი სწრაფწარმავალი ქროლვა გამოხატულება და ნიშანი იქნება ქვეყნიერების დაბერებისა და მისი დაშლა-რღვევისა.

დიახ, დროის შეკუმშვა, დროის დაჩქარება და მისი სწრაფწარმავალი ქროლვა გამოხატულება და ნიშანი იქნება უკანასკნელი დღის, უფლის დღის, მისი დიდებით მოსვლისა, მკვდრეთით საყოველთაო აღდგომისა, საშინელი სამსჯავროს დღის მოახლოებისა, ბოროტების საბოლოო განადგურებისა და სიკეთის გამარჯვებისა!

წმ. ნილოს მირონმდინარე იმასაც გვაუწყებდა წინასწარ, რომ ბოლო ჟამის ადამიანებს მთლიანად და ერთიანად დაიპყრობს ხორციელი ვნებები, რის გამოც გონება დაუსნეულდებათ და ქალების გარჩევა კაცებისაგან მათი ურცხვი და უტიფარი ჩაცმულობისა და გარეგნობის გამო გაძნელდებაო.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენებთ ერთ-ერთ უძველეს წინასწარმეტყველებას, რომლის თანახმად ბოლო ჟამის დამახასიათებელი ნიშნები ის იქნება, რომ დედაკაცები მიემსგავსებიან მამაკაცებს, მამაკაცები კი დედაკაცებს და მათ შორის განსხვავება გაჭირდებაო; დედაკაცები (ქალები) დაკარგავენ ღვთისაგან ნაბოძებ უძვირფასეს ნიჭს – მორცხვობას, კდემამოსილებას და ურცხვნი და უტიფარნი გახდებიანო და ამ დროისათვის ზნეობრივი აღვირახსნილობა და გარყვნილება, სიძვა-მრუშობა არნახულად გამრავლდებაო. ამ და სხვა მრავალ ცოდვათა გამო ადამიანთა მოდგმის უდიდესი უმრავლესობა დაკარგავს სული წმიდის მადლს, ე.ი. სულიერად მოკვდებიან, აღარ ექნებათ ცოდვების განცდა, გულსასტიკნი გახდებიან და სინდისი დაეწვებათ, ანუ სრულიად უგრძნობელნი და ყრუნი გახდებიან სინდისის, ანუ ღვთის ხმისა და მისი მოწოდებების, რჩევა-შეგონებების, მისი გაფრთხილებების მიმართ; ყოველივე ეს, მოხდებაო მაშინ, როდესაც ადამიანები ცაში ფრინველებივით იფრენენ და წყლისქვეშ თევზებივით იცურავებენ, დედამიწის ერთი უკიდურესი წერტილიდან მეორე უკიდურეს წერტილში მყოფნი ერთმანეთს დაინახავენ და დაელაპარაკებიანო.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა XVIII საუკუნეში მცხოვრები წმინდანის, კოზმა ეტოლედიის წინასწარმეტყველებაც, რომლის თანახმად, ისეთი დრო დადგება, რომ ადამიანები ურთიერთდაშორებული ქვეყნებიდან ისე ისაუბრებენ ერთმანეთთან, თითქოს გვერდიგვერდ განლაგებულ ოთახებში ისხდნენ, ის დრო მოვა, ორთვალა ეტლში ცხენების გარეშე კურდღლებზე უფრო სწრაფად იქროლებენო. ე.ი. ცივილიზაციის განვითარება ადამიანებში სულიერების კიდევ უფრო მეტ კვდომას გამოიწვევს, შეიკუმშება არა მარტო დრო, არამედ სივრცეც, რადგან დღეს, მართლაც, სხვადასხვა კონტინენტებზე მყოფნი ერთმანეთს არა მარტო ველაპარაკებით, არამედ ვუყურებთ. ყოველივე ეს, ანუ მობილური ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიის, კომპიუტერის, თვითმფრინავის, რაკეტების, წყალქვეშა გემებისა და სხვა ამგვარმა სასწაულებრივმა გამოგონებებმა ადამიანები ვერ გახადეს უფრო ბედნიერები.

სამწუხაროდ, ცივილიზაციის პროგრესი სისასტიკის პროგრესად იქცა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ახალ-ახალი სასწაულებრივი, გამოგონებანი ადამიანებს შინაგანად, სულიერად კი არ გვაახლოებს ერთმანეთთან, არამედ კიდევ უფრო მეტად გვაშორებს; ასუსტებს ჭეშმარიტ სულიერ ურთიერთობას, სულთა ერთობას და ერთმანეთის მიმართ გვაუცხოებს; გარეგან კეთილდღეობასა და გარეგან კომფორტს გამოდევნებულები, ვკარგავთ რა შინაგან კომფორტს და ერთმანეთისა და ღვთისაგან გათიშულნი, თანდათანობით ვეთხოვებით ღვთიურ სიმართლეს, ღვთიურ მშვიდობას, ღვთიურ სიხარულს, ღვთიურ სიყვარულს, რადგან ქრისტეს გზიდან გადახვევის გამო

ცოდვის მონებად ქცეულთ სულიწმიდის მადლი გვტოვებს და სულიერად ვკნინდებით.

ამიტომ ყურად ვიღოთ შეგონება და მოწოდება უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა, იესო ქრისტესი:

„შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაჲ“.

შევინანოთ, განვიწმინდოთ ცოდვებისაგან და განვთავისუფლდეთ მათდამი მონობისაგან, რადგან მაცხოვრისავე გაფრთხილებით:

– თუ არ მოინანიებთ... ყველანი დაიღუპებით (ლუკა 13,3).

* * *

დროის შესახებ მოგახსენებდით.

გამოთვალეს, რომ თუ, ვთქვათ, ადამიანი 70 წელს იცოცხლებს, მას მოუწევს 23 წელი ძილში გაატაროს, დაბადებიდან 12 წლის შესრულებამდე მას არა აქვს დამოუკიდებელი ცხოვრება და ა.შ., აქტიური ცხოვრებისათვის მას სულ რაღაც ოციოდე წელი რჩება და ამ ოციოდე წლიდანაც რამდენ დროს კარგავს ფუჭად არარაობასა და ამაოებაში?

თუ ქონებას დაკარგავ, შესაძლებელია იგი დაიბრუნო – იპოვო ან სხვა გზით აღადგინო, დაკარგულ დროს კი ვერაფრით ვერ დაიბრუნებ, ვერ აღიდგენ, – ეს შეუძლებელია.

დიახ, ჩვენთვის ღვთის მიერ განკუთვნილ და წინასწარგანსაზღვრულ დროში რამდენი წელი, რამდენი თვე, რამდენი კვირა და დღე გვაქვს დაკარგული და გაფლანგული ჩვენი ცოდვიანი სურვილების დასაკმაყოფილებლად, პირადი სიამოვნების მისაღებად, წარმავალი ფასეულობების მოსაპოვებლად და რა ძუნწად გვაქვს დრო გამეტებული ჩვენი უკვდავი სულის მაცხოვნებელი საქმეების საკეთებლად ღვთის სადიდებლად, მოყვასთა სასიკეთოდ, ღმერთთან შესაერთებლად, ზეციური სამოთხის – ცათა სასუფევლის დასამკვიდრებლად, ქრისტიანული სათნოებებით გასამდიდრებლად, ყოველ ჩვენგანში მამულისა და სარწმუნოებისათვის თავგანწირული სულისკვეთების ასაღორძინებლად, ზეციური, უხრწნელი, ე.ი. მარადიული საუნჯეების დასაგროვებლად.

ამიტომ მოგვიწოდებს უფალი:

„ნუ მოაგროვებთ საუნჯეებს დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობენ და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ.

ხოლო მოაგროვეთ თქვენთვის საუნჯენი ზეცაში, სადაც არც ჩრჩილი და ჟანგი სპობენ და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ. ვინაიდან, სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქვე იქნება.

შეხედეთ ცის ფრინველებს: ისინი არც თესავენ, არც მკიან, არც ბეღლებში აგროვებენ, და თქვენი ზეციური მამა ასაზრდოვებს მათ; განა თქვენ მათზე ბევრად უკეთესნი არა ხართ?

ამიტომ გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ თქვენი სულისათვის, რა ჭამოთ და რა სვათ, ნურც თქვენი სხეულისათვის, რით შეიმოსოთ. განა სული საზრდოზე მეტი არ არის და სხეული – სამოსელზე?

შეხედეთ ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან: არც შრომობენ, და არც ართავენ, მაგრამ თვით სოლომონიც კი მთელი თავისი დიდებითი არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი.

თუკი, მინდვრის ბალახს, რომელიც დღეს არსებობს, ხვალ კი თონეში ჩაიყრება, ღმერთი და ასე მოსავს, თქვენ უფრო ბევრად არა, მცირედ მორწმუნენო?

ამრიგად, ნუ ზრუნავთ და ნუ ამბობთ, რა ვჭამოთ? ან რა ვსვათ? რით შევიმოსოთ? ვინაიდან ყოველივე ამას ეძებენ წარმართნი; თქვენმა ზეციურმა მამამ იცის, რომ თქვენ გჭირდებათ ყოველივე ეს.

თქვენ კი უწინარეს ეძიეთ ღმერთის სასუფეველი და მისი სიმართლე, და ყოველივე ეს შეგემატებათ თქვენ“ (მათე 6,19-33).

ამრიგად, ჩვენი უბედურების წყაროა ცოდვები, ურწმუნოება თუ მცირედმორწმუნეობა და ის, რომ მარადიულის, ზეციურის ნაცვლად, ღვთის სასუფევლის, ღვთის სიმართლისა და ღმერთთან ერთობის ნაცვლად, უპირველეს ყოვლისა, ვეძებთ მიწიერსა და წარმავალს, ამქვეყნიურ, დროებით სიკეთეებს და ვცდილობთ „საუნჯეების“ დაგროვებას მიწაზე და არა ზეცაში, რითაც ვარღვევთ ღვთის მცნებას, წმ. პავლე მოციქულის პირით წარმოთქმულს:

– უწინარესად ზეციურზე იფიქრეთ და არა მიწიერზე!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჭეშმარიტი ბედნიერების მოპოვებას მხოლოდ ის ადამიანი, ის ქრისტიანი შეძლებს, ვინც თავის ცხოვრების უმთავრეს მიზნად დაისახავს ღვთის სასუფევლის, ზეციური სამოთხისა და ღვთის სიმართლის მოპოვებას, ვინც შეძლებს წმინდა ცხოვრების მიღწევას, განღმრთობას, ღმერთთან შეერთებას, ვინც შეძლებს უკვე ამქვეყნადვე, ამ წარმავალ წუთისოფელში სასუფევლის მოპოვებას, როგორც თვით უფალი იესო ქრისტე ამბობს:

– აჰა, სასუფეველი ღვთისა თქვენშია!

ამქვეყნადვე ღმერთის მომპოვებელი კი, თუნდაც მისი მთელი მიწიერი ცხოვრება მთლიანად ტანჯვა-წამებისა და სხვადასხვა განსაცდელებისა და უბედურებებისაგან იყოს სავსე, ჭეშმარიტი ბედნიერების, ანუ ნეტარების თანაზიარი გახდება, რადგან თვით ჯოჯოხეთიც კი, სადაც ღმერთი იქნებოდა, სამოთხედ გადაიქცეოდა, ხოლო თვით ცათა სასუფეველი, სადაც უფალი სუფევს და მარადიული ნეტარებაა, ღმერთს ერთი წუთითაც რომ მიეტოვებინა, წმინდანებისა და ანგელოზებისათვის – ჯოჯოხეთს დაემსგავსებოდა.

მაშ ასე: რისკენ მოგვიწოდებს უფალი?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეძიოთ ღმერთი და მისი სასუფეველი, უნდა მივისწრაფოდეთ ღმერთთან შეერთებისა და წმინდა ცხოვრებისაკენ, რადგან როგორც წმ. პავლე მოციქული ამბობს:

– ღმერთი წმინდაა და მისი ნებაა, რომ ყველანი წმინდა ვიყოთ.

წმინდა ცხოვრება კი შეუძლებელია ღვთის მცნებათა აღსრუ-

ლების გარეშე და თუ ჩვენ მიზნად დავისახავთ ქრისტიანულ წმინდა ცხოვრებას, ცხოვრებას ღვთის ნებისადმი ნებაყოფლობითი მორჩილებით, მისი მოძღვრების მიხედვით, ზეციური გახდება ჩვენთვის უპირველესი და არა მიწიერი, ღვთისაგან მოგვეცემა ყოველივე ის, რაც სრულყოფილი, წარუვალი ბედნიერებისთვისაა აუცილებელი;

თუ ჩვენ, ღვთისაგან ღრმად განდგომილნი დავუბრუნდებით ღმერთს, მაშინ ღმერთი რომელიც წმ. იოანე ღვთისმეტყველის თქმით სიყვარულია, დაგვიბრუნებს ყველას და ყველაფერს, რაც კი ღვთის ნების საწინააღმდეგოდ ცხოვრებით დავკარგეთ, დაგვიბრუნებს ყოველივეს, რაც ჩვენი სულის ცხონებისა და ბედნიერებისათვის არის და აუცილებელი.

მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ მიუხედავად თავს დატეხილი აურაცხელი პირადი თუ ეროვნული განსაცდელებისა, ღმერთს მაინც არ ვუჯერებთ, ღვთის ნების, მისი მცნებებისა და ღვთივსწავლული ადამიანების შეგონებების მიხედვით კი არ ვცხოვრობთ, არამედ ცოდვებისაგან გამრუდებული ადამიანური ნების მიხედვით (თუმცა არაერთი ჩვენთაგანი ევედრება ყოველდღიურად ზეციურ მამას: „იყავნ ნება შენი...“).

არ ვუჯერებთ წმ. სახარებაში მოცემულ ღვთიურ სწავლებას, წმ. მართლმადიდებელი ეკლესიის გადამრჩენელ, მაცხოვნებელ სწავლებას, ეკლესიისას, რომელიც სიცრუესა და ბოროტებაში ჩაფლულა და წმ. პავლე მოციქულის თქმით, ერთადერთი სვეტი და სიმტკიცეა, საყრდენი და საფუძველია ჭეშმარიტებისა.

სწორედ ამიტომ, ვერცერთი ჩვენგანი ვერ მიაღწევს სრულ ბედნიერებას, ვიდრე სულიერად თავის შემოქმედს, ე.ი. ღმერთს არ შეუერთდება.

დიახ, წყარო ბედნიერებისა, სიხარულისა, მშვიდობისა, დიდსულოვნებისა, მიმტევებლობისა, მყუდროებისა, სიკეთისა, სიტკბოებისა, რწმენისა, იმედისა და სიყვარულისა – ამ „უხრწნელი საუნჯეებისა“ – თვით ღმერთია, ღვთის გარეშე კი შეუძლებელია მათი მოპოვება, რადგან როგორც თვით უფალი გვაფრთხილებს და შეგვაგონებს:

„უჩემოდ არარაი ძალგიძთ“.

იმ „უღალატო მეგობრებს“, რომელთა მეშვეობით ჩვენ შევძლებთ ღმერთთან ერთობის მოპოვებას და ღვთის მიერ ერთმანეთთან სულიერი სიყვარულით გაერთიანებას, სული წმიდის მოპოვებას, ანუ მოპოვებას, ჭეშმარიტი ბედნიერებისას“ და „უბედური ცხოვრებისაგან“, ანუ ცოდვებში ცხოვრებისაგან თავდაღწევას, წარმოადგენენ – ქრისტეს წმ. ეკლესია, საღვთო მცნებების ერთგულება, ქრისტიანული სიყვარული და თავდადებული, თავგანწირული მსახურება ღვთისა და მოყვასთა მიმართ, „შიში ღვთისა“, რომელიც დასაბამია სიბრძნისა, განუშორებელი „ხსოვნა სიკვდილისა“, დაუვიწყებლობა, მუდმივი ხსოვნა უფლის მეორედ მოსვლისა, საყოველთაო აღდგომისა, „საშინელი სამსჯავროს“, ჯოჯოხეთის და ზეციური სასუფევლისა, რომელთა მეშვეობით ჩვენ შევძლებთ ცოდვათა უფსკრულიდან ამოსვლას და სიწმინდის ლაჟვარდოვან მწვერვალზე ამაღლებას, ცათა სასუფეველში ასვლას და მასში მარადიულად დამკვიდრებას.

წმ. იუსტინეს თქმით, ადამიანი მხოლოდ 1%-ია მიწისგან, 99% კი – ზეცისგან, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ ზეციურზე და არა მიწიერზე.

უფალს ჩვენთვის არ მოუცია აღთქმა, რომ აქ, ამქვეყნად, სადაც სამოთხიდან გამოძევებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით, მოგვანიჭებდა „ბედნიერებას“ იმ გაგებით, როგორც ის არაეკლესიურ ადამიანებს ესმით, რადგან ეს წუთისოფელი და დრო ამ წუთისოფელში, როგორც წმინდა ეფრემ ასური ამბობს, უფალმა სასწავლებლად, გამოცდისა და ღვაწლის ადგილად დაგვიწესა. ამიტომ არ უნდა წარვიკვეთდეთ ხოლმე სასოს მაშინვე როცა თავს სხვადასხვაგვარი განსაცდელები, ვაებანი, უბედურებანი და მწუხარებები გვატყდება, პირიქით, უნდა ვხარობდეთ, ქრისტესა და ჭეშმარიტების, მამულისა და სარწმუნოების სიყვარულისა და ერთგულების გამო ტკივილები და სატანჯველები რომ გვეწვევა, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ სწორი გზით, ანუ მაღალღირსეული წინაპრების, წმინდა კაცების გზით მივდივართ. თვით უფალიც, მოგეხსენებათ, როცა განკაცდა და მიიღო ყოველივე ადამიანური, გარდა ცოდვისა, ჩვენი გამოსყიდვა ცოდვებისაგან დიდი განსაცდელებითა და ენით გამოუთქმელი ტანჯვით აღასრულა. ამიტომ, თითოეულ ჩვენთაგანს თუ ერს მთლიანობაში, მწუხარებები და განსაცდელები თუ მოუცილებლად გარს გვეხვევიან, სწორედ ეს განსაცდელები და მწუხარებები, ტანჯვები და ტკივილები გვიღებენ კარს სამოთხისას, ცხადია, თუ ყოველივე ამას ღვთისადმი მადლიერებითა და იმ რწმენით მივიღებთ, რომ ყოველივე საბოლოო ჯამში, ჩვენი გადარჩენისათვის, ჩვენი ცხოვრებისათვის ხდება და ამიტომ ყველაფერი რაც ხდება, ჩვენთვის საუკეთესოა... წმ. წინასწარმეტყველთა და წმ. მოციქულთა ცხოვრებაც წერილებით იმიტომ გადმოგვეცა სულიწმიდის მიერ, რათა მათი ტანჯული ცხოვრების გაცნობისას გვესწავლა, რომ განსაცდელთა და მწუხარებათა გარეშე, ტანჯვების, ტკივილებისა და ჭირთა თმენის გარეშე ვერავინ ვერ შეძლებს ცხონებას, ვერავინ ვერ შეძლებს ცათა სასუფეველში დამკვიდრებას, ან როგორც წმ. პავლე მოციქული ამბობდა:

„მრავალთა ჭირთა ჯერი არს ჩუენდა შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“.

იმის შესახებ, თუ რატომ, რისთვის და რა მიზნით უშვებს უფალი ღმერთი ჩვენს პირად თუ ეროვნულ ცხოვრებაში ურიცხვ განსაცდელს, ბიბლიურ და წმინდა მამათა მიერ ღვთივსულიერ სწავლებაზე დაყრდნობით, შეძლებისდაგვარად დაწვრილებით მომდევნო პუბლიკაციებში მოგახსენებთ.